

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს კონკურსს

“თბილისსა და რეგიონებში გამოფენების ხელშეწყობა“

კონკურსის პირობები:

1. კონკურსის მიზანი

ქვეყანაში კულტურული ცხოვრების გააქტიურება საქართველოს ვიზუალური ხელოვნების ფართო სპექტრის (ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი, ფოტოხელოვნება, მულტიმედია, სივრცული ინსტალაცია და თანამედროვე ხელოვნების სხვა მიმართულებები) წარმოჩენით, თბილისსა და რეგიონებში ჯგუფური, პერსონალური გამოფენების და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშეწყობით.

2. კონკურსის პირობები

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე იურიდიულ პირს;
- კონკურსანტს აღნიშნულ კონკურსზე შეუძლია მხოლოდ 1 პროექტის წარმოდგენა;
- ცალკეულ პროექტზე სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 7000 (შვიდი ათასი) ლარს;
- პრიორიტეტი მიენიჭება ხელოვანთა შემოქმედების წარმომჩენ ინოვაციურ, თანადაფინანსების მქონე პროექტებს (რომელთა კონცეფცია გამოირჩევა თანამედროვე ხედვითა და აქტუალობით), რეგიონებში - ადგილობრივ ხელოვანთა ჩართულობით გამორჩეულ პროექტებს;
- კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს და რეკომენდაციებს შეიმუშავებს საკონკურსო კომისია.

3. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის პირობები

- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ კონკურსისათვის შემუშავებული განაცხადის ფორმის შესაბამისად (იხილეთ თანდართული ფაილი) და მას უნდა ერთვოდეს წერილი მინისტრის სახელზე კონკურსის დასახელების მითითებით, საკითხის მოკლე აღწერით. პროექტი (Word-ის ფაილში) და თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს CD ვერსიის სახითაც, მასზე მითითებული უნდა იყოს იურიდიული პირის სახელწოდება.
- უპირატესობა მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომლებშიც გათვალისწინებულია პროექტში ასახულ ღონისძიებაზე შშმ პირთა ხელმისაწვდომობის საშუალებები.
- საქართველოს გეოგრაფიული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ ორგანიზაციის მიერ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომელიც ასახული იქნება შესაბამისი გეოგრაფიული რეგიონის მიერ დამტკიცებულ კულტურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში, სადაც, ასევე, მითითებული იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის, ან სხვა დონორი ორგანიზაციის მხრიდან თანადაფინანსება. აღნიშნული სამოქმედო გეგმა თან უნდა ერთვოდეს საპროექტო განაცხადს.
- თანადაფინანსების მქონე პროექტს უნდა ერთვოდეს - თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროექტს უნდა ერთვოდეს საგარანტიო წერილი იმ ორგანიზაციიდან, სადაც დაგეგმილია გამოფენა;
- პროექტს უნდა ერთვოდეს ბანკიდან წარმოდგენილი საბანკო რეკვიზიტები, ხოლო პროექტის ბიუჯეტს - ინვოისები.

4. კონკურსის განრიგი

- საკონკურსო პროექტების მიღება იწყება 2018 წლის 20 თებერვალს;
- პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 13 მარტის 17:00 სთ.;
- კონკურსის შედეგები გასაჯაროვდება 2018 წლის მარტის ბოლოს სამინისტროს ვებგვერდზე: CULTURE.GOV.GE ;
- კონკურსში გამარჯვებული პროექტი უნდა განხორციელდეს 2018 წლის ბოლომდე;
- კონკურსზე შემოტანილი მასალა უკან არ ბრუნდება;
- პროექტი და ყველა თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

კონსულტაციები გაიმართება ყოველ ოთხშაბათს 14:00 საათიდან 17:30 საათამდე საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტში (ტელ: 299 90 37).

